საქართველოს მთავრობის

დადგენილება №216

2025 წლის 13 ივნისი

ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/05/2021, 390000000.10.003.022776) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ დანართ №4-ის მე-5 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5	1 კუბური მეტრი ხეტყისათვის ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშებით მარკირება		
5.1	1 კუბური მეტრი ხეტყისათვის ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშებით მარკირება	3 ლარი	წინასწარ
5.2	კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 1 კუბური მეტრი ხეტყისათვის სპეციალური ფირნიშებით მარკირება	130 ლარი	წინასწარ“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**